ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3800235

ნომერი: AR1554734

თარიღი : 11.12.2017

გაცემის თარიღი : 01.02.2018

გაცნობის თარიღი : 02.02.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , არაყიშვილის II ჩიხი , N 1-3-5 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ალექსანდრე მიქაძე პ/ნ 01014000569
- თბილისი ბოდბეს ქ. N 6 ბ. 8

ნომენკლატურა :

- განხორციელებული მშენებლობის დადასტურება
- IV კლასის ობიექტი

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 1284955
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 22.05.2014

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა2017 წლის 11 დეკემბერს შემოსულიNAR1554734 ელექტრონული განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, არაყიშვილის II ჩიხი, #1-3-5, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.14.11.042.059), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ექსპლუატაციაში მიღების თაობაზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის2017 წლის 29 სექტემბრის №ბ-19/01171812293-17 ბრძანებაში დაფიქსირებული არქიტექტურულ-სამშენებლო დარღვევების წერილობით დადასტურებას.

"მშენებლობისნებართვის გაცემის წესისა და სანებართვოპირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 24.03.09 წ. N57 დადგენილების 62-ე მუხლისპირველი პუნქტის ,,პ" ქვეპუნქტის თანახმად - "ქ. თბილისში

(გარდა V კლასის შენობა-ნაგებობებისა) თუ წარმოებულიმშენებლობის შედეგად სამშენებლო დოკუმენტში განხორციელდა ცვლილებები, რაც საჭიროებსმშენებლობის ახალ ნებართვას, თუმცა სამშენებლო სამუშაოები დასრულებულია და დამკვეთსუარი ეთქვა შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღებაზე, დამკვეთის მიერ ექსპლუატაციაშიმიღებაზე უარის თქმისშესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მშენებლობისნებართვის გამცემ ორგანოში წარდგენის შემდეგ აღნიშნული ორგანო უფლებამოსილია იმსჯელოს მშენებლობის ნებართვის გაცემის გარეშე უკვე განხორციელებულიმშენებლობის ქალაქგეგმარებით მოთხოვნებთან შესაბამისობასა და მისიდასაშვებობისდადასტურებაზე. ასეთ შემთხვევაში, მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ შეთანხმებულისამშენებლო დოკუმენტისაგან განსხვავებით, ნაწარმოები მშენებლობის დადასტურება ხდება წერილობითიფორმით.

განხორციელებულიმშენებლობის გათვალისწინებით მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ შესაძლებელია მოთხოვნილ იქნეს დამატებითიდოკუმენტაცია. დადასტურებისწერილი მშენებლობის ნებართვის განუყოფელი ნაწილია და უნდადაერთოს ამ დადგენილებითგანსაზღვრულისამშენებლო დოკუმენტის ყველა ეგზემპლარს;"

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი და "მშენებლობის ნებართვის გაცემისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

სამსახური ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, არაყიშვილის II ჩიხი, #1-3-5–ში, მდებარე მშენებლობადამთავრებულიობიექტის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი) ექსპლუატაციაშიმიღების თაობაზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისსაქალაქო სამსახურის 2017 წლის 29 სექტემბრის #ბ-19/01171812293-17 ბრძანებაში დაფიქსირებულიარქიტექტურულ–სამშენებლო დარღვევებით განხორციელებულიმშენებლობის ქალაქგეგმარებითმოთხოვნებთანშესაბამისობასდა მათ დასაშვებობასობიექტის შემდგომი ექსპლუატაციაშიმიღების მიზნით.

წინამდებარე წერილობითი დასტური განიხილება პროექტის შეთანხმებასადა მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე სამსახურის 22.05.2014 წლის №1284955 ბრძანებასთანერთად და წარმოადგენს მშენებლობის ნებართვის განუყოფელ ნაწილს.

• აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.